**ხელშეკრულება № 5**

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქუთაისი 28 მარტი 2019 წ.

ერთის მხრივ, „შპს მკითხველი ქუთაისი" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეონა მჟავანაძის სახით და მეორეს მხრივ , სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის #2 საჯარო სკოლა (შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთი კიკალიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

- ხელშეკრულების საგანია ნაბეჭდი წიგნების შესყიდვა
- ( CPV 22110000)

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 104,90 (ას ოთხი და ოთხმოცდაათი ) ლარს .

2.2.ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულებას მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშ სწორება**

3.1.საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშ ფაქტურის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.5 საგარანტიო მომსახურება განისაზღვრება მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგარანტიო ტალონის მიხედვით, მასში მითითებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

**მუხლი4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

მიმწოდებელი სამუშაოს შესრულებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 30 მარტის ჩათვლით ,შემსყიდველის მოთხოვნის შესანზამისად.

**.მუხლი5. მხარეთაუფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხისინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველ ს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო სამუშაო

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო სამუშაოს ან მისი ნაწილის შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ი ს ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში,მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

**მუხლი7. ფორსმაჟორი**

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუაღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხის მგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულების თანავე.

**მუხლი8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმისწარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდ აგაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი11. გადასახადები და დაბეგვრა**

შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზ ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან , ორი - შემსყიდველთან.

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

13.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 14. სხვა პირობები**

14.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

## მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან : მიმწოდებლის მხრიდა :

| | |
|---|---|
| სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის #2 საჯარო სკოლა | შპს მკითხველი ქუთაისი |
| ს/კ 220355238 | ს/კ 412730291 |
| | სს "საქართველოს ბანკი" |
| | ა/ნ GE37BG0000000643143900 |
| ზუგდიდი რ.ნ : ~~სოხუმის N64~~ ს.ოდიში | ქ.ქუთაისი : ი.ჭავჭავაძე N33 |
| ტელ: 577177410 | ტელ: 0431 25 21 21<br>ელ.ფოსტა<br>mkitkhveli@yahoo.com |

ხელმოწერა / ქ.კიკალიშვილი / ხელმოწერა / ი.ჭიჭავაძე /

დანართი N1

| # | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს ისტორიის ატლასი | ცალი | 1 | 55.00 ლარი | 55.00 ლარი |
| 2 | ქართველი მოღვაწეები (მკითხველი) | ცალი | 1 | 49.90 ლარი | 49.90 ლარი |
| სულ: | | | 2 | | 104,90 ლარი |

რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით

„მიმღები" „მიმწოდებელი"

## მიღება-ჩაბარების აქტი

ზუგდიდი 29 მარტი 2019 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ „შპს მკითხველი ქუთაისი „ ს/კ 412730291, მის: ქ. ქუთაისი, ი.ჭავჭავაძე N33 წარმოდგენილი მისი დირექტორის, თეონა მჟავანაძის მიერ, შემდგომში „მიმწოდებელი“ და მეორეს მხრივ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის #2 საჯარო სკოლა ს/კ 220355238 ზუგდიდი რ.ნ : სოფ ოდიში მისი დირექტორის ქეთი კიკალიშვილის მიერ შემდგომში „მიმღები“ ვადგენთ აქტს მასზედ, რომ მიმღებმა მიიღო , ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა წიგნები 104,90 (ას ოთხი და ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით.

| # | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს ისტორიის ატლასი | ცალი | 1 | 55.00 ლარი | 55.00 ლარი |
| 2 | ქართველი მოღვაწეები (მკითხველი) | ცალი | 1 | 49.90 ლარი | 49.90 ლარი |
| სულ: | | | 2 | | 104,90 ლარი |

რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით

„მიმღები“

„მიმწოდებელი“